ტფილისი

№ 184
1877

ივერია

№ 184
1903

აგვისტოს 28, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 28, ხუთშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

შუა ბაზარში ალ. სარაჯიშვილის ქარვასლაში

იყიდება ნარდად სხვა და სხვა ჯიშის

—ყაშლი და მსხალი—

გაუსმანის ბაღიდგან გორში

რომელიც დაჯილდოვებულია ოქროსი და ვერცხლის მედლებით სხვა-და-სხვა გამოფენაზედ.

(3—6.—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მხიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ გასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მის აგენტს სოსიკო მერკვილაძეს ქ. ქუთაისში შაბათს, 23 აგვისტოს

დაეკარგა

ქართ. დრ. საზოგადოების საწევრო საკვიტანციო წიგნაკი № 6, რომელშიაც 24 ბარათია, მხოლოდ პირველი-კი ამოჭრილია და კუპონზედ აწერია—მიტროფანე ლაღიძე.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს, ვინც იპოვნოს, გადასცეს მიტროფანე ლაღიძეს, ან გამოგზავნოს ტფილისში ქ. დრ. საზოგადოების სახელზედ.

(3—უ—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—3)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

კონსტანტინე იოსების ძე

ჯაფარიძე

გადავიდა მეექვსე ქუჩაზე ყავრიშვილის სახლში, სასამართლოს უკან.

(3—6—3)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—6)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გრ. პ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ბ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

დღეს, 28 აგვისტოს, საქართველოს ეკკლესია იხსენიებს წმ. შუშანიკის წამებას. ამისთვის მეტეხის ციხის ეკკლესიაში, სადაც ამ მოწამის გვამია დაკრძალული, წირვასა და პარაკლისს შეასრულებს ყ̃ღ სამღვდელო ბენიამენი, ეპისკოპოსი გორისა და მმართველი საექსარხოსოისა. თვით ეს ეკკლესია დღეს ღია იქმნება მლოცველთათვის დილიდან საღამომდე.

კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს შესაძლოდ უცვნია იმ თანხიდან, რომელიც მის განკარგულებაშია, გარდასცეს ქართლ-კახეთის ეპარქიის გამგებლობას 1,000 მანეთი ქართულ საეკკლესიო საგალობელთა კრებულის გამოსაცემად.

ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალიევი დროებით სამსახურს თავს ანებებს.

ის გერმანელები, რომლებმაც სვანეთში და ქუთაისის გუბერნიის ღირს შესანიშნავ ადგილებში იმოგზაურეს, გუშინ ტფილისს ჩამოვიდნენ და აქაური სიძველენი დაათვალიერეს. სხვათა შორის, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მუზეისაც ესტუმრნენ. ყველაფერი დიდის ყურადღებით გასინჯეს და ქართული წიგნებიც იყიდეს. ეს მგზავრები ტფილისიდგან ბათომს მიდიან და იქიდგან თავის ქვეყნისაკენ წავლენ.

დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას კრება აქვს სხვა-და-სხვა საგნებისა და თხოვნების განსახილველად.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ შესაძლოდ დაინახა მიიღოს ქართულ დრამატიულ მუდმივ დასში ორი ყმაწვილი ქალი და სამიც ვაჟი, რომელთაც გამოსაცდელ წარმოდგენაზედ თვისი ნიჭი ცოტად თუ ბევრად გამოიჩინეს. ესენი არიან: ქქ-ბი ნ. ყიფიანი, ნ. დავითიშვილი და ბბ-ბი ვ. მატარაძე, დ. ბაქრაძე და ნ. გვარაძე. ყველა ამათ გამგეობამ ცალკე წერილებით აცნობა თვისი პირობანი.

ორშაბათს, 1 სეკდემბერს, ქალაქის საბჭოს პირველი კრება ექმნება ამ ზაფხულს შემდეგ.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში მოსწავლენი უნდა შეგროვდნენ 1 სეკდემბრისათვის. ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, უნდა წერილით განუცხადოს სკოლის ზედამხედველს სვიმონ ხუნდაძეს და საჭირო ქაღალდები წარადგინოს ყმაწვილის შესახებ. სხვა პირობებს დღეს ცალკე განცხადებაში ვბეჭდავთ.

მიწად-მოქმედებისა და მეურნეობის სამინისტროს ცნობანი მოუთხოვნია ამ უწყების დაწესებულებათაგან იმ სახელმწიფო მამულების შესახებ, რომლებიც შესაძლოა კერძო კაცებს დაურიგდეთ ბაღებისა, ვენახებისა და ფასიან მცენარეულობათა გასაშენებლად. როდესაც საჭირო ცნობებს მიიღებს, სამინისტრო მოხსენებას შეადგენს და წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს.

ჩვენ მივიღეთ მეექვსე რვეული (ივნისი) ტფილისის ობსერვატორიის ყოველ თვიურის გამოცემისა, რომელშიაც დაბეჭდილია ცნობანი შესახებ დარისა, წვიმისა თუ გვალვისა, ჰავისა, სიცხე სიცივისა და სხვა მეტეოროლოგიურ მოვლენათა კავკასიაში. რვეულს დართული აქვს ორი დაფერადებული რუქა კავკასიისა.

ბათომსა და ფოთში დიდძალი ხის მასალა მოუტანიათ გემებით, ხოლო რკინის გზა ვერ ასდის ამ მასალის გადაზიდვას. ამისათვის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ გზის მოხელეებმა დააჩქარონ ამ მასალის გადაზიდვა დანიშნულებისამებრ.

ბევრი შიდა-რუსეთის გლეხი დროებით მოდის კავკასიაში სამუშაოდ, ხოლო აქ დასახლებულ ნათესავებსა და ნაცნობებს რომ ჰხედავს, თვითონაც აქა რჩება და სახლდება. ამის გამო გადასასახლებელთა უმთავრესმა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ თავის ნებით დასახლება აღარავინ გაჰბედოს. ამის მეთვალყურობა უმთავრეს კომიტეტმა გუბერნიის კომიტეტებს დაავალა. ამასთანავე უმთავრესი კომიტეტი სთხოვს გუბერნატორებს, რომ დრო და დრო აცნობონ ხოლმე, სად როგორ მიდის ახალშენების საქმე.

გორიდგან გვატყობინებენ, რომ აქამომდე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ორი დამტარებელი ჰყავდა, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებისა თუ წერილების დარიგებას საღამოს 4—5 საათამდე ძლივს ასწრობდნენ. ეხლა-კი ერთი დაუთხოვნიათ და, რომელიც უფრო უძლურია, ის დაუტოვებიათ. რა უნდა ეშველოს გორის საზოგადოებას, თუ მეორე დამტარებელი დროზედ არ დაიჭირეს!

სამრევლო-საეკლესიო სკოლების საოლქო საბჭოს მდივნად ინიშნება ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ბერძნულ ენის მასწავლებელი ი. გრეკოვი.

დუშეთის მაზრის სოფლების არანისისა, მისაქციელისა, ნატახტარისა და ნაღვარევის საზოგადოებას განაჩენით დაუდგენია, დააარსონ სამრევლო სკოლები.

ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ მემამულეებს განუცხადებიათ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისათვის, რომ წლეულს ჩვენის მამულების დიდი ნაწილი შეუმუშავებელი დაგვრჩა, შემოსავალი არ აგვიღია და ფულის გადახდა გაგვიჭირდებაო. ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას დაუდგენიათ, ნება მისცენ მემამულეებს, რომ ნახევარის წლის შესატანი ვალი ორის წლის განმავლობაში შეიტანონ.

ვაჰარ თარონაშვილის მოკვლას დაბა სურამში აბრალებდნენ ადგილობრივ მეხანჯლე ლეკებს. ლეკები დააპატიმრეს კიდეც. ამ ჟამად გამოძიებას უდანაშაულოდ უცვნია ლეკები და ამიტომ გაუნთავისუფლებიათ.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი შავი ზღვის პირად არსებულ საფოსტო დაწესებულებათა სარევიზიოდ წავიდა.

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის თანაშემწე კოჟინი ამ დღეებში მიდის ნუხის საფოსტო გზის დასათვალიერებლად და ფოსტის კანტორების სარევიზიოდ.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დედათა პროფესიონალურ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად დაჰნიშნა ნატალია დრობიშევისა.

წმ. შუშანიკ მთავარ-მოწამე.

დღეს საქართველოს წმინდა ეკკლესია დღესასწაულობს მთავარ-მოწამის შუშანიკის წმიდა გვამის გადმოსვენებას ცორტავის მონასტრიდან მეტეხის ტაძარში, ქალაქს. ეს ამბავი მოხდა საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსის კირიონის მამათმთავრობაში. მიზეზი გადმოსვენებისა იყო ის გარემოება, რომ ცორტავის ეპისკოპოსი აშკარად მიემხრო სომხის ეკლესიას ბერძნის ეკკლესიის წინააღმდეგ განხეთქილებაში და, რა კი წმ. შუშანიკ მართლმადიდებლად, ქართველთა და სომეხთ ეკლესიების ერთობის დროს, 458 წ. გადაცვლილიყო, კირიონ კათალიკოსმა, ამ თავგამოდებით დამცველმა საბერძნეთის ეკკლესიის მოძღვრებისამ და სომეხთ კათალიკოსის აზრამის მოწინააღმდეგემ, საპატიოდ აღარ მიიჩნია წმ. შუშანიკის გვამის დატოვება განდგომილის ცორტავის ზღუდეთა შორის, გადაასვენა მისი ეპისკოპოსი და ბრძანა წმ. შუშანიკის გვამის დიდის დიდებითა და სამღვთო გამოჩვენებით გადმოსვენება ტფილისს, ქართველთ მართლ-მადიდებელ მე-

ტეხის ტაძარში, რომელსაც საფუძველი დაუდო წმ. ვახტანგ გორგასლანმა VI საუკუნეში. დედოფალი შუშანიკ იყო სომხეთის მთავრის ვარდენ მამიკონიანის ასული და მეუღლე იბერიის მთავრის ვაზგენისა, რომელიც ცეცხლის თაყვანის-მცემელი იყო და შუშანიკსაც აიძულებდა უარი ეთქვა მართლმადიდებლობისა, მაგრამ ღირსეულის მამის ღირსეულმა ასულმა წარმართობის მიღებას ტანჯვა-წამებით სიკვდილი ირჩია უწყალოსა და ურჯულო ქმრის ხელით, ოღონდ ქრისტეს სარწმუნოების მოღალატე არ გამხდარიყო. წმ. შუშანიკის გვამი ასაფლავია წმინდა ტრაპეზის მარჯვნივ და მისის საფლავის მიწას, ვითარცა წმინდა ნაწილს, ეზიდება აუარებელი ქართველობა, თუ სომხობა, რომელსაც ქართული ღვთის-მსახურება, სარწმუნოებისა და სასოების ერთი-ორად აღმძვრელი, აკლია მეტეხის ეკკლესიის კრებულისაგან. ამიტომ სასურველია, დღეს მაინც მოისმინდნენ მლოცველები წირვასა და პარაკლისს სამშობლო ენითა, რომ წმ. შუშანიკისა და მისი საუკუნო განსასვენებლის მეტეხის პატივისცემის გრძნობა მუდამ ცხოველად უღვივოდეს გულში ჩვენს ერსა.

⁂

ჩვენებური ამბები

ზემო ქართლი. გათავდა კალოობა და გამოაშკარავდა, რომ გორიდამ დაწყებული კორტოხტამდის ძალიან უხეირო მოსავალი იყო. კოდ თესლზე მოვიდა პური, ქერი და შვრია, არა უმეტეს საის კოდისა; შუათანა რიცხვს ვიღებ. ბევრს ხუთსს და ათსს დღიურში, ზოგში თესლი არ მოვიდა, ზოგში მოვიდა ისეთი უხეირო მარცვალი, რომ კაცი სახელს ვერ დაარქმევს—პური, ქერი ბალახის თესლი, გროველაა, თუ სხვა რამ უსახელო,

როცა ბოქაულები წარუდგენენ ანგარიშს თავის მაზრის უფროსს, უნდა ძალიან დაფიქრებით მოახსენონ—მოსავლის ცნობანი, და არ გადასწერონ შარშანდელნი, ცნობანი, ცოტათი განსხვავებულ ციფრებით, რაიცა მიღებულია თითქმის მუდამ წელიწადს; თორემ დიდი შეცდომა და ცოდვა იქნება ზემოქართლისადმი.

აქ მოსული პური, ქერი არ ივარგებს თესლად. ვისაც უნდა, რომ მინდვრად ამოვიდეს რამე მომავლისთვის, უეჭველად სათესლე უნდა სხვა მხარეს იყიდოს, მომეტებულმა მცხოვრებთაგანმა.

მართალია, ზოგიერთა მემამულეს მოუვიდა ცოტა ოდენი ხეირიანი პური, მაგრამ თითონ რომ ეყოს თესლად და სარჩოდ, მეტი არ მოსულია.

მოუსავლობაა, მაგრამ მაინც ფასები არა აქვს. ხორბალი ფასობს სამი აბაზი და ქერი ორ აბაზ ნახევარ შაური ფუთი.

სიმინდები გახლდათ გვარიანი, რომლის მოჭრა უკვე დაიწყო. სიმინდიც, რომ არ მოსწრებოდა ზემოქართლელს, შიმშილობა ჩამოვარდებოდა, თუნდაც-კი გაზაფხულზედ ძალიან და ძალიან ბევრს მეკომურს გამოელევა სარჩო.

დადგა შემოდგომა და დაიწყო მეჯლისი ქურდ-ბაცაცებისა. მიჰყავთ ყოველ ღამ: ხარი, ძროხა, ქათამი, ცხვარი და სხვა. ცოტაოოდენი შიში აქაურ ოსებს ჰქონდათ „სტრაჟნიკებისა“, მაგრამ მეორე თვეა სადღაც მიმალნენ.

ამ პატარა მოწერილ ამბავთან, არ შემიძლიან „ივერიის“ მკითხველებს, არ ვაცნობო, უცნაური შემთხვევა, რომელიც მე მომივიდა. განთქმულს, ტფილისში მარტო, რასაკვირველია, ექიმს გასპარიანცს ჰქონდა გასაქირავებელი სახლი, სამი ოთახი, მოწყობილობით: დააფასა მისმა მეეზოვემ თვეში, 45 მანეთი. დავთანხმდი. მითხრა ქვიშხეთშია აგარაკად და მივწერამო. რაკი მიკვიანდებოდა და ახლოც არის ჩემი სოფელი ქვიშხეთიდან, წავედი ეტლით და მივედი ხსენებულ გასპარიანცთან, სახლის დასაქირავებლად. თან წავიყვანე ბ-ნი მირზაშვილი. მისვლისათანავე არ შემომთავაზა სკამი, რამაც ძალიან გამაოცა. ნუ თუ ტფილისში დაბერდა, თუმცა ზეითუნელია, და იმოდენს ვერ მიხვდა, რომ სტუმარს პატივისცემა სჭირია, მეტადრე მაშინ, როცა ეს პატივისცემა არად უღირს სახლის პატრონს. უთხარ, თუ შეიძლება, სკამი დაგვითმეთ მეთქი, თხუთმეტი ვერსი გამოვიარე ეტლით და სიცხეცა მაქვს მეთქი. მაშინ ვიღაც დიასახლისმა, იქ მყოფმა, სკამზე მიგვითითა. უთხარი თქვენი სახლი ვნახე ტფილისში, ყველა თქვენ პირობაზედ თანახმა ვარ, ფულიც ერთის წლისა წინდაწინ მიიღეთ და ბარათი მიბოძეთ, რომ ბარგი გადავზიდო-მეთქი. გასპარიანცმა ამათვალ-ჩამათვალიერა და მკითხა, ვინა ხართო: მე უთხარ: **кн. Тарханъ-Моуравовъ**. მიიხედ-მოიხედა ამ თქმაზედ და მითხრა სახლს ვერ მოგცემთო. მე გავიცადი და ვკითხე: რატომ-მეთქი? არ ვიციო. გამოდგა რომ იმიტომ არ მომცა, რადგანაც ქართველი ვიყავ, თორე სხვა რა მიზეზი შეიძლებოდა?! დავბრუნდი აღელვებული კ. ყიფიანის ოჯახში და უამბე ეს უცნაური ამბავი. არ დამიჯერებდნენ, რომ მირზაშვილი მოწმე არ ყოფილიყო. აქ ერთმა სთქვა: ნუ გიკვირთ ეგ ამბავიო. ქალაქელ დიდ მემამულეებს ალთქმა დაუდვიათ, ქართველებს სახლებს ნუ მივაქირავებთ და არ გაგვეცლებიან ტფილისიდამა, რომ თითქმის ყველა სახლები სომხებისააო?!

ნუ თუ ამ ნათქვამში მართალი არის რაიმე?!

სოსიკო თარხნიშვილი.

ს. ახალ-ქალაქი (გორის მაზრა). წრევანდელმა გამუდმებულმა წვიმებმა და ზამთრად მთებში უხვად მოსულმა თოვლმა ჩვენი მდინარე თეძამი დიდათ ააღელვა და ერთობ დიდ საგონებელში ჩააგდო მთლად თითქმის ორთავ ნაპირზედ მცხოვრებელნი. ყველა მკვიდრს დიდი შრომა უნდა გაეწია, რომ თავისი მამაპაპით მოწყობილი სახლ-კარ-ბინადრობა გადაერჩინა როგორმე და არ გაენადგურებინა მრისხანე და გაავთრებულ თეძამს.

ახალ-ქალაქში ჩვეულებრივ კარგა ბლომი ხალხი მოვიდა საავარაკოდ წრეულაც სხვა-და-სხვა მხრიდგან. აქაურებს შეუდგათ ფაცა-ფუცი და წარმოდგენის გამართვა მოინდომეს. აი ეს თხუთმეტ წელიწადზედ მეტია, რაც აქ ყოველ წლივ იმართება რამდენიმე წარმოდგენა ვითომდა დასაარსებლად ხან ქსენონისა და ხან უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი, მაგრამ ვერ იქმნა და ვერ დაარსდა ვერც ერთი და ვერც მეორე. ამავე აზრით იქმნა გამართული წარმოდგენა წრეულ სამჯერ. ყველას სთხოვდნენ, ნუ დაზოგავთ მცირედს წვლილს და თანაგრძნობა გაგვიწიეთ საქველ-მოქმედო საქმეშიო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თურმე შემოსავალმა გასავალი ძლივს დაჰფარა და ჩვენ, ნაცვლად სამკითხველოსი და ქსენონისა, კვლავინდებურად დავრჩით „კონჩინკა-ლოტოს“ ამარას.

გარეშე მეთვალყურე

რიონ-გაღმის კუთხე, 24 აგვისტოს, ფერისცვალების ღამეს ისე ადიდდა რიონი, რომ ნაპირებიდგან გადმოვიდა და მთლად წასილა სიმინდის ყანები. ამას ვიღა ჩიოდა, რომ კიდევ კარგი ამინდები გვქონდეს და ყანები მწიფდებოდეს: მარიობისთვის 18 რიცხვიდგან დაწყებული ხუთი დღე კოკისპირულად ასხამდა წვიმა და ცა მოწმენდილი არ გვინახავს. სიცივეც ისეთი დადგა, რომ ცეცხლი შეიქმნა საჭირო. ძლიერ სწუხს მუშა ხალხი, რომ მათი ნაშრომი ყანები ჯერ მარტო ჩალაა. ყურძენსაც ხომ ძლიერ ავნო ამ ავდრიანობამ.

ერთის სიტყვით ყველა გაკვირვებულია: ამის მსგავსი მარიობისთვე ჯერ არავის ახსოვს

ძველი სიმინდის ფასმა დაიწია; დღეს ფუთი ფასობს ათ შაურად. საჭიროა ჩვენთვის სიიაფე, ვიდრე სიძვირე, რადგან უმეტეს ნაწილს საყიდელი თუ აქვს, თორემ გასაყიდი ბევრს არავის ექნება.

14 ამ თვეს, მუხაყრუის საზოგადოებაში ოთხი შეიარაღებული ავაზაკი დაეცა თავს აქაურს შეძლებულ მოსახლეს ნიკოლეიშვილს, რომელიც მოჰკლეს და წაიღეს ორას მანეთზედ მეტი ფული და ხმალი. ცოლი-კი ცოცხალი დასტოვეს. შემდეგ ბოროტ-მოქმედებმა დასცალეს რამდენჯერმე თოფები ეზოში და მიიმალნენ.

ამ მარიობისთვეში აქეთ ძლიერ გავრცელდა ყელის ტკივილი (კისერა) და მუცელა. ბევრს ოჯახში იმსხვერპლა მოზრდილი თუ ბავშვი ყელის ტკივილმა. ერთხანს ჩვენს კუთხეში. ს. ვანის აფთიაქში კვირაობით მოდიოდა დაბა სამტრედიიდან ექიმი ბ-ნი მ. ჩხენკელი; ეხლა ის აფხაზეთში დაბინავდა და ჩვენ ისევ ძველებურად დავრჩით უექიმოდ. მეტად უიღბლონი ვართ ცალმა-კუთხის მცხოვრებნი: ექიმი ჩვენსკენ არ იცდის.

ამ ავდრიანობის დროს გზები და ბოგირები საკმაოდ წახდა. საჭიროა, სანამ სიმინდის ტეხა დაიწყებოდეს, გზები შეკეთდეს. საქონელმა ახლა ძლივს დააღწია თავი თურქულს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩვენი მაზრის უფროსი დაავალებს ჩვეულებისამებრ მამასახლისებს და ერთს კიდევ შეაკეთებინებს გზა-ბოგირებს ძველ სოფლის მოხელეებს.

მოახლოვდა დრო მამასახლისების არჩევისაც; ვინც-კი მაღალი, წელში შეტეხილი, ქუდი დაიხურა, ყველას უნდა მამასახლისობა; ამ გვარად ყოველ საზოგადოებაში ათი ხუთმეტი მოადგილეა სამამასახლისოდ მომზადებული.

„ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სოფელს ბზვანში განიზრახეს სამკითხველოს დაარსება სამრევლო სკოლასთან, რაზედაც მისმა მეუფებამ იმერეთის ეპისკოპოზმა ლეონიდმა ნება-რთვა მისცა და ოცი მანეთიც შესწირა; კერძო კაცთაგანაც მოიკრიფა ფული, მაგრამ სამკითხველო მაინც არ არსებობს და არც ჰაინც-და-მაინც მოსალოდნელია, რომ დაარსდეს და განხორციელდეს ცარიელი ჰაერის პროექტი. სამი—ოთხიოდე გაზეთებიც გამოიწერეს და მოსდიოდათ, მაგრამ ვინ რა დაიტაცა, ან სად გაჰქრა, ალლაჰმა უწყის. თვეში ერთხელ-კი საღამოობით შეიკრიბებიან ხოლმე ხუთი—-ექვსი ქალი და სამიოდე კაცი, ვითომ და წევრნი, იმუსაიფებენ, ახსენებენ „ბიბლიოთეკას“ და დაბინდებისას წამუსაიფდებიან სიცილ-ხუმრობით სახლში; ამით თავდება საქმე.

სამკითხველოს არც ოთახი აქვს, არც მაგიდა, არც დავთრები, არც კატალოგი არც წიგნებ-გაზეთი და არც არავითარი სალარი. მოკრეფილი ფულიც როგორ მოიხმარეს, კაცმა არ იცის. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, ანგარიში გამოაცხადოს და საქმეს თავი გამოაბას, თორემ ასე სამასხაროდ მისი ხელის მოკიდება სწორედ სასაცილოა, ისევ უმჯობესი იქნება თავი დაანებონ, რადგან აქაურებს არ სცალიათ მაინც-და-მაინც კითხვისათვის.

ვლადო ბზვანელი

რუსეთი

— შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსებულ პეტერბურგის საქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრად დაინიშნენ, როგორც წარმომადგენელნი ქალაქის თვით-მმართველობისა: ქალაქის მოურავი ლელიანოვი და ხმოსანი სტასულევიჩი, „**В. Ев**“.-ის რედაქტორი.

— ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის პირველს კურსზედ შეუტანიათ თხოვნა 1275 კაცს, მათ შორის უმეტესი ნაწილი გიმნაზიებში კურს-დამთავრებულია. ვაკანსიებია სამექანიკო განყოფილებაში 180, საქიმიოში—60. სწავლა იწყება 1 სეკდემბრიდან.

— საზოგადოებრივ დაწესებულებათა კრებაზედ თავმჯდომარეს ნება არა აქვს, სენატის განმარტებით, დაითხოვოს გარეშენი კრებიდან. იმას შეუძლიან მხოლოდ დროებით სთხოვოს დასტოვონ დარბაზი კრებისა, სახელდობრ მაშინ, როცა კრების წევრთ მოსალაპარაკებელ-სათათბირო აქვთ რამე. კორესპონდენტების დათხოვნა ხომ სულ არ შეუძლიან და იმათი დასწრება საჭიროა ყოველ შემთხვევაში, რადგან ამ გზით შეიძლება საზოგადოებამ თვალ-ყური უგდოს საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოღვაწეობას.

— პეტერბურგში შენდება სახლი ბნედით შეპყრობილთა და სახიჩარ ბავშვთათვის.

— ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, 1 სეკდემბრიდან ფინლიანდიის ლიცეების ყოველ კლასში ყველა საგნების სწავლება, რუსულისა და სიტყვიერების გარდა, უნდა სწარმოებდეს ერთ-ერთ აქაურს ენაზედ. ეს წესი შეეხება სენ-მიხელის ლიცეისაც, რომელშიც საგნების სწავლების ენად უნდა იყოს ფინური.

— ხელმწიფე იმპერატორმავე ბრძანა, ჩამოერთვას ფინლიანდიის სენატორად ნამყოფს აგვისტო ნიუბერგს ძლევა პენსიისა—6 ათასის მარკისა წელიწადში.

— ცოტას გაწყდა, —ამას წინად პასაჟირთა ტარიფს არ მოუმატეს. გადაწყდა კიდეც ეს საგანი სატარიფო კომიტეტში ხმის უმეტესობით, მაგრამ გზათა სამინისტროს წარმომადგენელმა ცალკე აზრი წარადგინა. ფინანსთა მინისტრი ვიტტეც, ერთის დღის წინად, ვიდრე ახლს

ფელეტონი

ბედკრულთა მეგობარი

ექიმი გააზი

მღ. პეტროვისა.

„კეთილ საქმეს დაეჩქარეთ“.

1853 წელს, აგვისტოს შუა რიცხვებში ქ. მოსკოვს ერთ მიცვალებულს არა ჩვეულებრივ ასვენებდნენ. პოლიციის წყვილი გაძვალტყავებული ცხენი უბრალო „დროგით“ ძლივს მიათრევდა სადა კუბოს, რომელსაც უკან აუარებელი, ოცი ათასამდე, მოსკოვის მდაბიო ხალხი და საზოგადოება მისდევდა. ბევრი მათგანი მწარედ ქვითინებდა. კუბოში განისვენებდა პატიმართა ექიმი, თევდორე პეტრეს ძე გააზი.

თევდორე პეტრეს ძე მოსკოვის ღვიძლი შვილი არ იყო. ის დაიბადა და აღიზარდა საზღვარ-გარეთ, მხოლოდ ბედმა შემთხვევით რუსეთში გადმოასახლა. ერთხელ რუსთ ხელმწიფის კარის კაცი, თავადი რეპნინი, საზღვარ-გარეთ საექიმოდ წავიდა და იქ, სხვათა შორის, ახალგაზდა, ოც-და-ორის წლის ექიმი გააზიც გაიცნო; მისი რჩევა-დარიგება შესამჩნევად მოუხდა და, როცა თავადი რუსეთში დაბრუნდა, ექიმი გააზიც თან წამოიყვანა და მოსკოვში მოიყვანა. მოსკოვში გააზს, როგორც ჩინებულ ექიმს, ჩქარა სახელი გაუვარდა: საუკეთესო და მდიდარ სახლებში მიიწვევს და მცირე ხნის განმავლობაში დიდი ქონებაც შეიძინა. იყიდა სახლი, ადგილ-მამული, მოაწყო საუკეთესო მაუდის საქსოვი ქარხანა; წყვილ-წყვილ ბედაურ შებმულ ძვირფასის „კარეტით“ დაბრძანდებოდა...

გარეგან შეხედვით ეს კაცი სრულიად კმაყოფილი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. ის იყო ახალგაზდა, მდიდარი, ნიჭიერი, ყველგან და ყველასაგან მიღებული და პატივცემული. სხვა რაღა უნდოდა?! მაგრამ მისი გული მაინც არ იყო კმაყოფილი. ის უფრო ფართო ასპარეზს ეძებდა სიყვარულისათვის, რაც მართლა ჩქარა იპოვა.

როგორც მოგეხსენებათ, ავადმყოფები, მდიდრად მორთულ დარბაზებს გარდა, გაჭუჭყიანებულ, ნესტიან სარდაფებში და მინგრეულ-მონგრეულ ქოხ-მახებშიც ბლომად მოიპოვებიან. და ექიმმა გააზმაც სწორედ ამ ღატაკ ავადმყოფებს მიაქცია ყურადღება. დანიშნა დრო, როცა ყოველ ღარიბ ავადმყოფს შეეძლო მასთან მისვლა და შეწევნა-დარიგების მიღება უსასყიდლოდ. ღარიბებმაც ბევრი არ დააყოვნეს და დაესივნენ გულ-კეთილ ექიმს. მათ მისაღებად დანიშნული დრო თავდებოდა და მრთელი ჯგუფი ავადმყოფებისა ჯერ კიდევ თავის რიგს უცდიდა. საჭირო შეიქმნა, მათი მისაღები დრო მეტი ყოფილიყო. გარდა ამისა, მომსვლელ ავადმყოფებს შინაც ისეთები ჰყავდათ, თურმე, რომ არა თუ ექიმთან წასვლა, ტახტიდგან წამოდგომა აღარ შეეძლოთ. იმათი ნახვაც საჭირო შეიქმნა. ამნაირად ექიმ გააზს მდიდრების მისაღები დრო ძლიერ შეუმცირდა.

ბოლოს ექიმი დაფიქრდა და თავისს გუნებაში ამნაირად გარდასწყვიტა: „მდიდრები კაი ფასით ექიმს ყოველთვის იშოვნიან და ჩემ ღატაკებს-კი, ტყუილი არ არის, მუქთად, არავინ ეხლება. საწყლები, მე მელოდებიან და მათი უპატრონოდ დატოვება განა შეიძლება?!“

გააზმა მართლაც მდიდრებს სულ თავი მიანება და მთლად ღარიბ-ღატაკების მწუხარების შემსუბუქებას შეუდგა. არა თუ ავადმყოფების სანახავად მიდიოდა, თან წამალიც მიჰქონდა და ხეირიანის საჭმელის საყიდელ ფულსაც ურიგებდა.

ღარიბი ავადმყოფები, რა თქმა უნდა, მომეტებულ ნაწილად ბინძურ და ნესტიან სადგურებში სცხოვრობდნენ და მათი იქიდგან გამოყვანა აუცილებელი საჭირო იყო. ამისათვის გააზმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ იყო, რომ პოლიციის მახლობლად მისთვის სახლი დაეთმოთ ავადმყოფთა სამკურნალოდ. აქ მან პატარა საავადმყოფო გააკეთა. ხალხმა შემდეგ ამ საავადმყოფოს „გააზის“ საავადმყოფო დაარქვა. ავადმყოფ ტუსაღებსაც ამ საავადმყოფოში აწვენდნენ. მათ გააზი განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა, როგორც სულიერად და ხორციელად უძლურთ. რამდენადაც უახლოვდებოდა, იმდენად მეტ სიყვარულსჰგრძნობდა მათდამი. ჰხედავდა, რომ უბედურები ცხოვრებისაგან დატანჯულნი იყვნენ. ყოველივე ადამიანური გრძნობა მიძინებული იყო მათ შორის. გარეშეთა მათდამი გულგრილობას და გულ-ქვაობას უბედურები გაესასტიკებინა. გულ-კეთილი ექიმი ამჩნევდა, რომ ტუსაღებიც ადამიანები იყვნენ, იმათაც ჰქონდათ სვინიდისი, იმათში ჯერ სულ არ გამქრალიყო ღვთის მადლის ნაპერწკალი, მხოლოდ ყოველივე ეს ცხოვრების სიბინძურით სქლად იყო დაფარული, ასე ჰგონია, ღმერთი და ღვთიური რამ მათში, თითქოს თავისს დღეში არა ყოფილიყოსო!! კაცთ-მოყვარე ექიმს გულ-წრფელად ეცოდებოდა ისინი და სცდილობდა, სიყვარულით, ლმობიერის მოპყრობით და ძმურის მზრუნველობით ადამიანური გრძნობა გაეღვიძებინა მათ გულში.

„თუ ექიმისათვის დიდად სასიამოვნოა მომაკვდავის ავადმყოფის მობრუნება და ფეხზედ წამოყენებაო,—მსჯელობდა გააზი,—რამდენად მეტად სასიამოვნო უნდა იყოს, სულიერად დაცემულის ადამიანის გაცოცხლება, განახლებაო“.

უნდა ვსთქვათ, რომ იმ დროს პატიმრებს მეტად სასტიკად და უდიერად ეპყრობოდნენ; მძიმე ბორკილს ადებდნენ, მათრახებით უწყალოდ სცემდნენ, სასაცილოდ თავს ცალ გვერდზედ ჰპარსავდნენ და, ერთის სიტყვით, მათს ადამიანურ ღირსებას ყოველ-მხრივ ამცირებდნენ.

თვით მაშინდელი საპყრობილე ერთგვარი ჯოჯოხეთი იყო, სადაც ტუსაღები საშინლად იტანჯებოდნენ. მხეცურის მოპყრობით ისინიც გამხეცებულნი იყვნენ. განსაკუთრებით ძნელი იყო კატორგაში გასაგზავნ პატიმართა მდგომარეობა. ერთ რკინის გრძელ ჯოხზე ბორკილით მიაბამდნენ ათიოდე ტუსაღს და ვირებივით წინ გაირეკავდნენ. ამნაირად ვარიებივით ერთ ჯოხზე მიბმულთ უნდა ევლოთ მთელი უშველებელი გზა მოსკოვიდან ციმბირამდე. სუსტი და უძლურიც ჯანსაღს უნდა დამხრდამხარებოდა, სხვა გზა არ იყო. ეს კიდევ ცოტაა, ძნელი ის იყო, რომ რკინის ბორკილის რგოლებს პირდაპირ შიშველ ტანზე აცვამდნენ. რგოლის მუდმივი ხახუნი კანს გადააფხლეწდა, ძვლამდი ჩაჭრიდნიდა და ამით გაჩენილ იარას, ციმბირის საშინელ სიცივეში, რკინაც ზედვე მიაყინებოდა. საუბედუროდ, ამ დაუჯერებელ სიმკაცრეს ყველანი ისე მისჩვეოდნენ, რომ მისი მოსპობა შეუძლებლად მიაჩნდათ, თითქო ბუნებით ასე უნდა ყოფილიყო.

ბედკრულთა მეგობარმა ექიმმა გააზმა ეს რომ გაიგო, კინაღამ ელდა ეცა. მაშინათვე წევრად ჩაეწერა იმ დროებით ახლად დაარსებულ საპყრობილეთა მზრუნველ კომიტეტში; ყოველთვის, როცა ტუსაღებს ციმბირს გაგზავნას უპირებდენ, ესწრობოდა და დაჟინებით თხოულობდა, რომ პატიმართა რკინის ჯოხზე მიბმა მოესპოთ.

— თქვე კაი კაცებო, ისედაც ხომ რკინის ბორკილ-გაყრილნი არიან და კიდევ რკინის ჯოხზე მიბმა ნეტავ რაღაა?!— ამბობდა გაკვირვებული ექიმი.—ზედ მეტი მათი შეწუხება ვის რა სარგებლობას მოუტანსო?!

მისმა მუდარამ გასჭრა. რკინის ჯოხი გააუქმეს.

თევდორე პეტრეს ძემ ახლა ახალი შუამდგომლობა აღძრა. თხოულობდა, რომ ბორკილებს შიგნიდან ტყავის სარჩული ჰქონოდა, რომ რკინას პირდაპირ კანი არ ეხეხა. ესეც შეუსრულეს. ექიმი ამასაც არ დასჯერდა, რკინის ბორკილის სიმძიმის შემცირებაც მოითხოვა. მაშინდელი, როგორც ხელის ისე ფეხის ბორკილი, ცალ-ცალკე 5—6 გირვანქას იწონიდა. თორმეტი გირვანქა რკინის ტარება ხელფეხით ქვეითის ტუსაღისათვის, დიახ, რომ მეტად ძნელი იყო. ბედკრულთ მოსარჩლე-კი თხოულობდა, რომ თითო ბორკილი 3—3½ გირვანქა ყოფილიყო.

მისი მუდამ ამნაირი შუამდგომლობა კომიტეტს თანდათან თავს აბეზრებდა.

— თქვენ, თევდორე პეტრეს ძევ! კატორღა გადაწყვეტილ პატიმრებს პატარა ბავშვებივით ელოლიავებით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისინი ბოროტ-მოქმედებისთვის დასჯილნი დამნაშავენი არიან,— ეუბნებოდნენ გააზს.

— მაგათი განკითხვა თქვენი საქმე სრულებით არ გახლავთ,—პასუხს აძლევდა ექიმი—ისინი უკვე გასამართლებულნი არიან. თქვენი საქმეა, გახსოვდეთ მხოლოდ, რომ ისინიც თქვენსავებრ ადამიანები არიან. იმათაც თქვენსავებრ მდუღარე ცრემლები აქვთ. ისინიც ხომ ჩვენი უმცროსი ძმებია და მათი დახმარება ჩვენი მოვალეობაა. შეიძლება, ბევრი ბოროტება ჩაედინოთ, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ: სიკეთეს ვინ ან როდის ასწავლიდა? ვსთქვათ, რომ

ადგილზედ დაინიშნება, იემხრო უმცირესობის აზრს და საქმე ისევ საკეთილოდ გამოტრიალდა.

— გადაწყდა ქ. კორომასთან ხიდი გაიდოს ვოლგაზედ. ინრები უკვე წავიდნენ საქმის გამოკვლევისათვის,

— 21 აგვისტოს დაიწყო იაროსლავში კრება ჩრდილო-გუბერნიების მიწათ-მრეწველობის მოღვაწეთ.

— 17 აგვისტოს კურთხეს ძეგლი, აგებული პოეტ ა. ფეტის სახსოვრად ზვენიგოროდს ახლოს, სოფ. ერშოვს.

— კურსკის გუბერნს ქალაქ სტარი ოსკოლში დიდი შედეგი მიუცია ხალხისათვის დამზოგველ საზოგადოების დაარსებას. დაარსების შემდეგვე დაიწია ყოველ-გვარ ნუზლ-სურსათის და სანოვაგის ფასმა რამდენისმე %-ითაო. შაქარმა 14%-ით, ჩაიმ, თამბაქომ და სხვ. 10%-ით და ასე ამ რიგად, შაქრის ფხვნილმა 15%-ით, ბრინჯმა—%-ით.

— უკვე მიიღო მოსკოვმა დიდი ფული ღამის თავშესაფარ ასაგებად, შეწირული ერმაკოვის მიერ, სახელდობრ 847,700 მ.

— ვიტტეს დაუტოვებია 11 წლის გამგეობის შემდეგ სახელმწიფო კასისათვის თავისუფალი ფული, გადარჩენილი წინა წლებისა და წლევანდელ წლის ხარჯების გასტუმრების შემდეგ, 240 მილიონი მანეთი.

უცხოეთი

მაკედონია. გაზ. „დიურის“ სიტყვით მთელი ადრიანოპოლისვილაიეტი, ქალაქ მალო-ტირნოვოს გარდა, აჯანყებულია. ბულგარ-ოსმალთა საზღვრებზე გაშენებული სადარაჯოები, ურუმ-კეიდან მოყოლებული შავი ზღვის პირამდე სრულიად განადგურებულია მეამბოხეთაგან. 5 აგვისტოს მეამბოხენი დაეცნენ დერე-კეის და მუსრი გაავლეს იქ მდგომ მეციხოვნეთ—160 კაცსა.

იმავე გაზეთს გერმანლიდან ატყობინებენ დეპეშით: დანევის რაზმა სრულიად ააოხრა ქალაქი დიმოკიტი და ხელთ იგდო ოსმალ ჯარებისათვის დამზადებული ფქვილი და სურსათ-იარაღი. მეამბოხეთ აიკლეს აგრეთვე ქალაქის მიდამოებიც. ოსმალნი მკვიდრნი თავზარდაცემულნი არიან. მეამბოხეთ გადასწვეს სოფ. ბუიუქი, ნათარკეი, რაყასიმი, ქემალი და დემარჯიკეი.

ადრიანოპოლის მეამბოხეთა მდგომარეობის შესახებ გაზ. „ავტონომია“ შემდეგს იუწყება:

„4 აგვისტოს ერთი ნაწილი ოსმალთა ჯარისა, რომელიც მეამბოხეთა სადევნელად იყო გაგზავნილი სოფელ გაჯურისაკენ, იმის მაგივრად, რომ პირდაპირ შებმოდა მტერს, სოფელში შესულიყო და მშვიდობიან მცხოვრებთა დაპატიმრებისათვის მიეყო ხელი, ვითომ იმ მიზეზით, რომ მეამბოხეთ ჰფარავდაო. ამასთანავე ჩვეულებრივად არბევდნენ და იკლებდნენ ყველას. როდესაც მეამბოხეთ შეიტყეს ეს ამბავი, იმ წამსვე გაეშურნენ მცხოვრებთა მისაშველებლად. როდესაც მტრის მოახლოვება იგრძნეს, მაშინვე თავი შეაფარეს შენობებს და იქიდან დაუწყეს სროლა; მაგრამ მეამბოხეებმა მედგრად მიიტანეს იერიში ყუმბარების სროლითა და სრულიად გასწყვიტეს ოსმალთა რაზმი—16 კაცი მოჰკლეს, 2 ტყვედ წაიყვანეს და დანარჩენნი ცეცხლში დაიღუპნენ.

3 აგვისტოს სოფ. რეზოვოს მივიდა მეზვერე ჟანდარმებით და მოსთხოვა მცხოვრებთ გადასახადი; რადგან ფული არ აღმოაჩნდათ, მეზვერემ უბრძანა ჟანდარმებს მათი დაპატიმრება და წამება, ეგენი მეამბოხეთ უწყობენ ხელს და ხარკს იმიტომ არ იხდიანო. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ადგილობრივ მეამბოხეთა წინამძღოლმა, მაშინვე გაეშურა თავის რაზმით, დაესხა თავს მეზვერესა და ჟანდარმებს და ყველანი გასწყვიტა.

ინგლისი. როგორც მოხელეთა გამოძიებამ გამოარკვია, „გიჟმოლასათვის“ სომალილენდში იარაღი და სამხედრო სურსათი ინგლისიდან და საფრანგეთიდან გაუტანიათ.

ერთ ლონდონელ ფირმას მუდამ გადაჰქონდა თურმე ეს კონტრაბანდა მანჩესტერს და იქიდან მარსელზედ ჯიბუტს ჰგზავნიდა. ამავე ფირმას უკანასკნელ წლებში დიდძალი იარაღი შეუტანია მასკატსა და სპარსეთის ყურეს ნავთსადგურებში. სპარსეთის ყურეში დიდძალ იარაღსა ჰყიდის აგრეთვე ინგლის-ინდოეთის ფირმა, რომელსაც ბომბეის, მასკატსა და ლონდონში თავისი აგენტები ჰყავს. დაიწყო თუ არა ომი სომალილენდში, ზემორე მოხსენებულ ლონდონელ ფირმას გაუგზავნია მოლასათვის დიდძალი თოფი გრისა და ლი მეტფორდის სისტემისა და 3 მილიონი ლი-მეტფორდის თოფის პატრონა.

ოსმალეთი. თანახმად სტამბოლიდან მოსულ ცნობებისა, სტამბოლში მყოფ რუსეთის საელჩოში მიუღიათ ოსმალ პატრიოტების მუქარის წერილები,—თუ რუსეთი უარს არა ჰყოფს ოსმალეთის სამტრო პოლიტიკას და მაკედონელების ქომაგობას, რაც სტამბოლში რუსების ქონებაა, სრულიად გავანადგურებთო.

ამის გამო საელჩოში გამოუწვევიათ რუსეთის სტაციონერიდან ჯარი.

მაკედონიის კომიტეტი აცხადებს,—ის ხმა, ვითომც ჩვენ განგვეზრახოს ინგლისის კონსულის ან ერთ-ერთ კორრესპონდენტის მოკვლა და მონასტერში მყოფ ამერიკის მისიის აფეთქება, ტყუილიაო. სამაგიეროდ, კომიტეტმა დაადგინა, სასტიკად ჩააგონოს რაზმებს ქრისტიანეთა და უცხოელთა მეგობრულად მოპყრობა და, შეძლებისა და გვარად, მათი დაცვაო.

ნარკვევი

„Всем. Вѣст.“-ის რედაქტორ-გამომცემელს დაუბეჭდია თავის ჟურნალში გულ-თბილი მოგონებანი ა. მ. ბობრიშჩევ-პუშკინის შესახებ. ავტორი ამ მოგონებისა ახასიათებს ბობრიშჩევ-პუშკინს, როგორც ჟურნალ.-გაზეთის მუშაკს და როგორც ყოვლად კეთილს კაცს.

თუმცა სამსახურში იყო და ბევრი საქმეც ჰქონდა, იყო თავმჯდომარე პოლონსკის სალიტერატურო ამხანაგობაში და ბევრგვარი თანამდებობაც ებარა, მაინც დიდის ხალისითა და მხნეობით მიეცა საჟურნალ-გაზეთო საქმეს. ყოველ-დღე მოდიოდა რედაქციაში, შემოივლიდა სტამბაში, მოჰქონდა ხელთ-ნაწერები, იწვევდა თანამშრომელთ, კითხულობდა გამოგზავნილ წერილებს და ასწორებდა.

— მეო,—ამბობდა იგი,—სხვათა შორის ვიკისრებ ყოველ ლექსის წაკითხვას და გასწორებას, რომელიც-კი რედაქციას მოუვა... საჭიროა ყოველივე გადიკითხოს კაცმა უკანასკნელ სტრიქონამდე, რაც-კი რედაქციას მოუვა. ეს ჩვენი სამღვთო მოვალეობაა.

უნდა იცოდეს კაცმა რედაქციის საქმეები, რომ მიხვდეს, რა ჯაფაა და რა ძნელი საქმეა ლექსების კითხვა. ლექსები მოდის რუსეთის ყოველ კუთხიდან და მოსდის მეტად მრავლად. უმეტესი მათი ნაწილი მეტად ცუდად არის დაწერილი. და აი სწორედ ეს შრომა იკისრა ალექსანდრემ. ყოველ კვირა გავუგზავნიდით აურებელ ხელ-ნაწერებს და განსვენებულიც ყურადღებითა და კეთილ-სინიდისიერად კითხულობდა თავიდან ბოლომდე. ხშირად მინახავს კაბინეტში მჯდომი, ხელ-ნაწერებითა და წიგნებით გარემოცული და ხელ-ნაწერების კითხვით გართული...

— თავს გაუფრთხილდით, გადასდეთ ხვალისთვის,—ვეტყოდი ხოლმე, როცა წასვლას დავაპირებდი ღამის 12—1 საათზედ.

არა, არა, მთელი ეს პორცია დღეს უნდა გავათავო,—მიპასუხებდა,—მალე უნდა ეცნობოთ ავტორებს პასუხი. საწყლები, ვინ იცის, როგორ ჭდებავენ, ელიან პასუხს... გადადება შეუძლებელია.— და ალექსანდრეც იჯდა მთელის ღამეობით, კითხულობდა და ასწორებდა ლექსებს. გულის-ტკივილით უბრუნებდა იმ ხელ-ნაწერებს, რომელიც სულ გამოუსადეგარი იყო ხოლმე.

— მოდი და ნუ შეგეცოდება,—იტყოდა ხოლმე,—კაცს უნდა მწერალი გახდეს, უნდა რაღაცა სთქვას და არც აზრი აქვს, არც ნიჭი... უნდა მშვიდად მივსცეთ პასუხი, რომ გული არ ვატკინოთ უარით...

სამაგიეროდ, საცა-კი ცოცხალს აზრს იპოვიდა, ალექსანდრე ცას ეწეოდა სიხარულით და თავს აღარ ანებებდა იმ ხელ-ნაწერს. დიდის გულ-დადებით ასწორებდა, რანდს უკრავდა, აშალაშინებდა უხერხულ ადგილებს, ენას აკეთებდა და ასე თავდადებით მუშაობდა სხვის ხელ-ნაწერის გამოსაყენებლად, თითქო მისი საკუთარია, მის გულში ნატარებიაო.

— სხვაფრივ არ შეიძლება,—ამბობდა ხშირად განსვენებული,—ხელ-ნაწერის დაბრუნება ადვილია. აიღე და მიეცი უკანვე ისეთს, რომელიც აგერ ახლა იწყებს სალიტერატურო შრომასა. გარნა ამით შეიძლება სულ ხელი აადებინო წერაზედ: მერე ვინ იცის, იქნება იმისაგან, თავის დროზედ, საუკეთესო პოეტი გამოვიდეს?! პირველად ვინ დასწერა განა საუკეთესო რამე?! ჩვენის ლიტერატურის ბუმბერაზებსაც-კი არა დაუწერიათ-რა პირველადვე შესანიშნავი.

დიდხანს არ გასტანა მისმა მუშაობამ. მალე თვალთ დააკლდა, გულმა უსუსტა და გარდაიცვალა ასეთი მოყვარული ლიტერატურისა, ასეთი თავ დადებული მუშაკი და კეთილი კაცი.

წერილი

რედაქციის მიმართ.

«ივერიის» 162 ნომერში წავიკითხე ბ-ნ კახაბერის წერილი ქართველ-მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ და საჭიროდ მიმაჩნია სიმართლის აღსადგენად ამ წერილის დაბეჭდვა გთხოვოთ. ბ-ნი კახაბერი კისლოვოდსკს აღგვიწერს და განაგრძობს: კურზალში ბუფეტი უჭირავთ ქართველებს ბ-ნ ონისიმე შავგულიძეს და სტეფანე ელიაძეს ამ რთულის საქმის გაძღოლას დიდი უნარი უნდაო; როდესაც უკვირდები, არ გჯერა, რომ ამ საქმის მოთავენი ქართველნი არიანო და სხვ.

ბუფეტის პატრონებს სამასამდის მოსამსახურენი ჰყავთო,—ბრძანებს ეს სიმართლეს მოკლებულია და განაგონი დაჯერებიათ. ლაქიები ჰყავთ ორმოცდა-ათამდის, უმრავლესობა რუსნი არიან და სხვა ტომის ხალხი. მათი თანაშემწენია ათამდის; მზარეულები თუთხმეტამდის; მათი თანაშემწენი ათამდის; ბუფეტჩიკები ხუთამდის; და სხვა უბრალო მოსამსახურენი სამოცამდის. ერთად ას-ორმოცდა-ათი და არა სამასი.

„ლაქიების უმეტესობა ქართველებია და თითოეული ათას მანეთს გადააჭარბებს საშოვრის მხრით“. ესეც სიმართლეს მოკლებულია.

ან რა დასაჯერებელია, რომ ვითომ ათს მანეთს და მეტსაც შოულობდნენ დღეში მოსამსახურნი; საიდან შეუძლია მოსამსახურეს ათასის მანეთის შოვნა ზაფხულში სამს თვეს, როდესაც ისინი არ იღებენ ჯამაგირს, ბინა არა აქვთ ბუფეტის პატრონთაგან; როდესაც თითონ აძლევენ იმათ დღეში თითოეული მოსამსახურე ლაქია თითო აბაზს, თუ გინდ მთელს ზაფხულის განმავლობაში ერთი ჩიქა არ გატეხოს მოსამსახურემ. ეს თითო აბაზის გადახდა წესად აქვთ შემოღებული. ჰყავთ ზედამხედველიც, რომელსაც მინდობილი აქვს თვალყური ადევნოს, თუ მოსამსახურეს რამე შემთხვევით გაუტყდა რამე, ორი წილი ფასი გადახდევინოს. ასი მანეთი გირაოს ფული მიაქვთ თითოეულ ლაქიისაგან.

შავგულიძე და ელიაძე იყვანს ლაქიებს ორმოცდა-ათამდის, ხან მეტს, თუ ფული იშოვეს და მიუტანეს. გარეგნობას არ უყურებენ მაინცადამაინც. ორმოცდა-ათი კაცისაგან აღებული ფული გირაოდ შეადგება 5000 მანეთი; ამას მიუმატოთ დღიური სავალდებულო გადასახადი თითო აბაზი, დღეში მივიღებთ ათს მანეთს, სამს თვეში 900 მანეთს. ამას მიუმატოთ კიდევ ჯარიმის ფული, დღეში ერთი მეორეზე ხუთი მანეთი, მივიღებთ სამის თვის განმავლობაში 450 მანეთს სულ მთელი ჯამი 6350 მან. ესეც თითქმის მთელი სავაჭრო თანხა მოსამსახურეთაგან მზად არის, მხოლოდ კეთილ ინებონ გაჭრონ და ივაჭრონ.

თუ ინტელიგენტს ვერ უშოვნია რიგიანი ბინა თვეში ორას მანეთად, როგორც ბრძანებს კახაბერი, ლაქია ოც მანეთ ნაკლებად ხომ ვერ იშოვის? თუ არა აქვს ბინის ქირა, ქუჩაში უნდა დაწვეს, მეტი ჯანი არ არის; გაჭირვება აიძულებს ლაქია-მოსამსახურეს იმსახურონ ასეთ სასტიკ გარემოებათა შორის. რა ქნან, რომ არ დაემორჩილონ ხვედრს. უმრავლესობას ჰყავს ცოლშვილი, ღარიბი ნათესავები, აქვთ ოჯახის ყოველ-დღიური მოთხოვნილებანი და სხვა.

იმათი ანგარიში ეს არის, რომ საჭმელი მუშტარს მორჩება და იმით იკვებებიან, ასე რომ საჭმელში ფული არ ეხარჯებათ. თუ ვინმემ მოწყალება მოიღო, იმათი შეწერილს ანგარიშებს ასწორებენ და ცოტა რამ რჩებათ. მაგალითად, კარგი მოხერხებული მოსამსახურე იშოვის, ხარჯს გარდა, ხუთს თუმანს, ზოგი—ნაკლებს. თუ გზის ხარჯს ვიანგარიშებთ წასვლა-მოსვლისას, ძალიან ცოტა რჩებათ ზაფხულის ე—ი კურსის გათავებისას.

ლაქიები ვაჭრობენ ნაღდის ფულით. ლაქიამ წამოიღო, ვსთქვათ, საჭმელი ან სასმელი, ბუფეტში ფული უნდა გადაიხადოს. ლაქია აიღებს მუშტრისაგან თუ დაეკარგება,

---

ბოროტნი და დამნაშავენი არიან, მაგრამ რა ნებაგვაქვს მოვსთხოვოთ კეთილი მოქმედება, როცა ჩვენ თვითონ მათდამი არავითარ გულ-კეთილობა—შებრალებას არ ვიჩენთ. დამნაშავენი არიან, მაგრამ კანონისა და არა ჩვენ წინაშე. ისინი მხოლოდ ჩვენი გაუბედურებული ძმებია“.

ასეთი სიტყვები კომიტეტს არ მოსწონდა. კომიტეტის ზოგიერთი წევრი უკმაყოფილოდ ამბობდა, რომ გააზმა გადამეტებულის გულ-კეთილობით ტუსაღები აფუჭა, ნებივრობას მიაჩვიაო. მაინც მისი შუამდგომლობა ბორკილების სიმძიმის შემცირებისათვის შეწყნარებულ იქმნა. იმ დროს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად ბრძანდებოდა თავადი გოლიცინი, ეს გულ-კეთილი და პატიოსანი. კომიტეტის კრების მეორე დღეს თვითონ მივიდა ექიმ გააზთან, გაიარა ერთი ოთახი და, მეორეს რომ მიუახლოვდა, რაღაც უცნაური ტლიკინი და ჟღარუნი ესმა. შეაღო კარები და სახტად დარჩა! თურმე გააზს თვითონ ხელ-ფეხზე გაეყარა ბორკილები, გაფითრებული და დატანჯული ოთახს გარშემო უვლიდა და თან რაღაცას ჩუმ-ჩუმად სთვლიდა.

— თევდორე პეტრეს ძევ! რას ჩადიხართ?—ჰკითხა გაოცებულმა თავადმა.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ?—მიუგო გაზმა.—უკვე გამოვიანგარიშე: რამდენჯერ უნდა შემოუარო ამ ჩემს ოთახს, რომ იმდენი მანძილი გამოვიდეს, რამდენსაც ეტაპით გაგზავნილი ტუსაღები ერთ დღეს გაივლიან ხოლმე. ეხლა მინდა გამოვცადო: რამდენად ძნელია ექვს გირვანქიან ბორკილებით ამ მანძილის გავლა. თავადს ამ სანახაობამ გული აუჩვილა და ცრემლები მოერია. ბორკილების სიმძიმე დაუყოვნებლივ შეამცირეს. ახალ ბორკილებს ტუსაღებმა „გააზის ბორკილები„ დაარქვეს.

თევდორე პეტრეს ძეს სურდა, პატიმრებს, რაც შეიძლებოდა, მეტად დაახლოვებოდა. ამიტომ იმდენს ეცადა, რომ მოსკოვის საპყრობილის უფროსი ექიმობა მიიღო. ახლა კი არც ერთი ჯგუფი ტუსაღებისა კატორღაში ისე არ გაიგზავნებოდა, რომ მათთვის ექიმ გააზს რაიმე მეგობრული მზრუნველობა და დახმარება არ გაეწია. მრთელის რუსეთის ტუსაღობა იცნობდა გააზს. „ჩვენი ექიმიაო“, ამბობდნენ. სადმე სმოლენსკში ან კიდევ კურსკში გამოთხოვების დროს, ტუსაღები ჯერ მოსკოვისკენ წასაყვან საციმბირო ამხანაგებს ასე ანუგეშებდნენ ხოლმე:

— ყოჩაღად იყავ, ნუ გეშინიან! ჯერ ხომ მოსკოვში მიგიყვანენ, იქ „ჩვენი“ ექიმი დაგეხმარება.

ექიმი გააზი ტუსაღის ყოველ სულის მოძრაობას უკვირდებოდა, მრთელის საათობით მათთან მუსაიფობდა და მცირეოდენ სინანულის ნაპერწკალს მათ გულში მოუთმენლად სდარაჯობდა. დანაღვლიანებულებს ანუგეშებდა, სულით დაცემულებს ამხნევებდა, თავს არ დაზოგავდა მხოლოდ-კი ცოტაოდენი ნათლის შუქი შეეტანა ამ ბედ-კრულთა უკუნეთს სამეფოში. ცოტა რამ უქეიფოდ გახდებოდა ვინმე, ან შინაურებზედ დარდს დაიწყებდა, მაშინათვე საავადმყოფოში დააწვენდა: უხაროდა, რომ რამდენისამე დღით მაინც შეეძლო მისთვის ბორკილი მოეხსნა. სატუსაღოს უფროსებთან კი ამნაირი მისი ქცევა ხშირად უსიამოვნებას იწვევდა. ესაყვედურებოდნენ: „ეს როგორ შეიძლება! ტუსაღების გაგზავნას აჭიანურებ, რიგს და წესს არღვევო“ და სხ. მის მზრუნველობას ტუსაღებისადმი სამასხაროდ იგდებდნენ, „მავნებელ სათუთობად“ მიაჩნდათ. თვითონ იმასაც დასცინოდნენ: უცნაურ კაცს—„ჩუდაკს“ ეძახდნენ! უსიამოვნო, აბეზარ კაცად სახავდნენ. ექიმი-კი არავის ყურადღებას არ აქცევდა და სიმართლის გზაზედ უშიშრად წინ მიდიოდა.

ერთხელ ციმბირისკენ უნდა გაეგზავნათ სხვა პატიმრებთან ერთად ორნი გასათხოვარნი დანიცა. სავალალოდ, ერთი მათგანი ავად გახდა და იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ, მაგრამ ავადმყოფი მარტო არ იცდიდა. მეორე დამ ითხოვა, ავათმყოფის მომვლელად დაეტოვებინათ, მაგრამ ცივი უარი უთხრეს. „გასაგზავნთ სიაში ჩაწერილი ხარ და უსათუოდ უნდა წახვიდეო“. მაშინ ავადმყოფმა გარდასწყვიტა, რაც გინდ დაჰმართნოდა, თუნდ რომ დაუყონებლივ მომკვდარიყო, მაინც დას გაჰყოლოდა. ექიმი გააზი ამ საქმეშიაც გაერია და მოითხოვა, რომ ორივე დები დაერჩინათ.

— ავადმყოფის გაგზავნა ხომ შეუძლებელია,—ამბობდა ექიმი,—და მომაკვდავის ქალისათვის დის უკანასკნელ ალერსის მოკლება ხომ უღვთოობაზე უღვთოობაო.

— თავი დაანებეთ მაგაებს, თუ ღმერთი გრწამთ! აქ კატეხიზმოს ქადაგება სრულიად უადგილოა და არც საჭირო გახლავთ, სია უკვე შედგენილია და ვიღაც პატიმარ დედაკაცის გულისთვის ეხლა ისევ ხომ ვერ შესცვლიან,—მოუჭრეს სიტყვა ექიმს.

გააზი შეელაპარაკა ამის მთქმელს:

— ყოველ შემთხვევაში,—სთქვა მან,—ადამიანობაა საჭირო და არა მხეცობა. რაც შეეხება სიას, მე მგონია ზეცაშიაც უნდა იყოს სია, სადაც პატიმართა დანაშაულთან მათ უფროსების მხეცური ქცევაც აღინიშნება. დები, როგორც იყო, დაარჩინეს, მაგრამ უფროსები კი გადაემტერნენ ექიმს, დაუწყეს დასმენა და თითქმის პირდაპირ ხელმწიფესთანაც უჩივლეს.

ერთხელ იმპერატორი ნიკოლოოზ პირველი მოსკოვში ბრძანდებოდა და საპყრობილეც ინახულა. გააზის მტრებმა ხელმწიფეს წარუდგინეს ერთი 70 წლის ღრმა მოხუცი ტუსაღი, რომელსაც განაჩენით ციმბირი გადაწყვეტილი ჰქონდა, ექიმი გააზი საავადმყოფოდგან არ უშვებდა ექიმი იქვე იდგა. ხელმწიფე პირად იცნობდა. შეჰხედა და მრისხანედ დაეკითხა:

— ეს რა ამბავია?

თევდორე პეტრეს ძემ დაიჩოქა და თავი დაბლა დაუკრა.

— მაპატიეთ, ხელმწიფეო,—შეეხვეწა გააზი.

ხელმწიფე შეშფოთდა.

— ადექ, მე არა ვჯავრობ, ადექ თევდორე პეტროვიჩ!

— ხელმწიფეო! გთხოვთ მოხუცს აპატიოთ,—ამბობდა დაჩოქილი ექიმი;—მცირედი ხნის სიცოცხლე-ღა დარჩენია. უბედური გამოქცეულთაგანია. მრთელ სიცოცხლეში დასდევდნენ, მგელივით ეტევებოდნენ, საპატიმროდგან საპატიმროში დაათრევდნენ. თქვენო უდიდებულესობავ! ნება დართეთ, რომ აქ, საავადმყოფოში მაინც ამოხდეს სული.

— კარგი, შენს სინიდისზედ მომინდვია,—ცოტაოდენის ფიქრის შემდეგ უბრძანა იმპერატორმა.

ექიმი გააზი არავითარ დაბრკოლების წინ არ შეჩერდებოდა, ოღონდ კი უბედურთ ხვედრი ცოტად მაინც როგორმე შეემსუბუქებინა. შუამდგომლობდა, სთხოვდა უარს თუ ეტყოდენ, გულ-გრილად ითმენდა, ისევ თხოულობდა და, მანამდი არ მოეშვებოდა მთავრობას და არ დამშვიდდებოდა, სანამ არ დააკმაყოფილებდნენ. ერთხელ ტუსაღების გულისთვის მძლავრ და სახელ-განთქმულ მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტთანაც მოუხდა დიდი და საშიში შეჯახება. მიტროპოლიტიც კომიტეტის კრებას ესწრებოდა და გააზის დაუსრულებელი ხვეწნა-მუდარა უდანაშაულოდ გასამართლებულებისათვის ალბად იმასაც მობეზრდა. მიტროპოლიტმა უბრძანა:

— რა დაგემართა, თევდორე პეტრეს ძევ! რა უდანაშაულოდ გასამართლებულები გაგიჩნდათ. უდანაშაულოდ გასამართლებული ვინ გაიგონა! თუ კაცი გაასამართლეს, მაშ, დამნაშავეც ყოფილა და ეს არის!..

ბუნებით ფიცხი გააზი პილპილივით აენთო და საშინლად გულ-ნატკენმა ხრინწიანის ხმით საჩქაროდ მოუჭრა სიტყვა მღვდელ-მთავარს:

— ქრისტე მაცხოვარი დაგავიწყდათ, ყ-დ უსამღვდელოესო მეუფეო?!.. ისიც ხომ გაასამართლეს, მაშ, ისიც დამნაშავე ყოფილა?!. ყველანი შეშფოთდნენ. მიტროპოლიტმა თავი ძირს დახარა. ყველანი შეწუხებულ-შეშფოთებულნი ერთმანეთს შეჰყურებდენ და ხმის ამოღებას ვერავინ ჰბედავდა. გავიდა რამდენიმე საშინელი, სევდის მომგვრელი წამი. ბოლოს წარჩინებული მიტროპოლიტი წამოდგა და მშვიდად წარმოსთქვა:

— არა, თევდორე პეტრეს ძევ! ქრისტე-კი არ დამვიწყებია, როცა უგუნური ლაპარაკი დავიწყე, თვითონ ქრისტე განივლტო ჩემგან.

ამნაირად, დრო მიდიოდა, წელიწადი წელიწადს მისდევდა და ექიმი გააზიც ბედ-კრულთა და მოძულებულთათვის თავგანწირულად შრომობდა. და ამ შრომას მისი ძალღონე და ქონებაც თანდათან უკან მიჰყვებოდა. ცხოვრობდა გააზი ძლიერ ხელმოკლედ. თავისს თავზე კაპეიკობით ჰხარჯავდა. მისი სახლი და მამულის ქარხანა სადღაც გაჰქრა, „კარეტაც“ გაიყი-

ღმერთმა უწყის. სავაჭროს პატრონები ამაებისთვის თავს არ იცხელებენ და არც მუშტრის ნისიას კისრულობენ. მუშტარმა თუ არ გადიხადა, ეკარგება ლაქიას და არა რესტორანის პატრონს. ხშირადაა, რომ მუშტრებთან მიტანილი ავიწყდებათ; ამის მიზეზი არის მიზეზიან მუშტრის თავგასულობა და რესტორანის პატრონის ტუქსვა მოსამსახურისა. დაითვრება ხშირად მუშტარი და, დანახარჯის მოცემის მაგიერ, ხურდა მომიტანეო, გაიძახის, ფული მოგეციო. რას იტყვი? ლაქია ხარ და შენს სიმართლეს გასავალი არ აქვს. იძულებულია თავის ჯიბიდან დააკმაყოფილოს შეზარხოშებული მუშტარი. იმედი მაშინ ეძლევათ, როცა მოქეიფე დაჯდება მის სტოლზედ. მოსამსახურის სიხარულს საზღვარი არა აქვს, თუ ვინმე ისეთი ქალბატონი ახლავს მუშტარს, რომელსაც თაყვანს სცემს მუშტარი და ანგარიშის გასწორების დროს თავ მომწონედ იძახის მუშტარი: „Ей, ты человѣкъ. сколько слѣдуетъ? ლაქიაც ეუბნება და იღებს ნაღდად, ხან მეტსაც, საჩუქარს გარდა.

რაც შეეხება იმას, რომ ამან და ამან შრომით ფული მოიგროვო, ესეც სიმართლეს მოკლებულია. როცა ბ-ნი შავგულიძე შრომობდა, იმდენ ჰქონდა, რამდენიც მის მოსამსახურეებს აქვთ, მაგრამ გარემოებამ ხელი შეუწყო. დადგა ერთს რკინის გზის გავლენიან კაცთან და რამდენისამე ხნის შემდეგ მან მისცა ექვსი რკინის გზის ბუფეტი. რადგან ყველა ბუფეტის მოვლა არ შეეძლო, გადასცა სხვებს, გარდა ერთისა. მოგებით და მოდიოდა უშრომლად ფული ხუთივე მხრიდგან, და აი ასე შეიძინა მან ფული.

ერთი მოსამსახურეთაგანი.

„ივერიის“ ფოსტა

ბ-ნ ვ. წ—ძეს ს. სეფითში. თქვენი წერილი არ იბეჭდება, რადგან მაგ შინაარსის წერილი წინად გვქონდა დაბეჭდილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უკანასკნელ ღამეს ვერ იყო დამშვიდებული, რადგან წელს ზევით მარცხენა მხარეზე მუწუკები დაჰყარა. გათენებისას მშვიდობიანად მიეძინა. საზოგადოთ ავადმყოფის მდგომარეობაში დიდი ცვლილება არა მომხდარა-რა.

ორიოლი. მობძანდა ხელმწიფე მემკვიდრე და სადგურზე მიეგება გუბერნატორი ბალიასნი, რომელმაც წარუდგინა თავად-აზნაურობა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ხელმწიფე მემკვიდრე წაბრძანდა ტაძრად; სადაც მიეგებნენ ეპისკოპოზი ირინეოსი და ქალაქის სამღვდელოება. ყოვლად სამღვდელომ მიართვა ხატი. მემკვიდრემ დაათვალიერა კადეტთა კორპუსი და ოლქის გამოფენა, რომელიც უკვე დაიწყო.

ეკატერინოსლავი. დასრულდა კრება სამთამადნო, საქარხნო და მღვიმე მადნეულთა ექიმებისა. შეერთება სამრეწველო მედიცინისა საეროობასთან არა სასურველად იქმნა ცნობილი.

კურსკი. რილსკში დიდის ამბით აკურთხეს ძეგლი სახელოვან მეზღვაურის შელიხოვისა.

კოპენჰაგენი. იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ჰელზინგერს მობძანდა; მიეგებნენ მეფე და სამეფო სახლეულობა. მისი უდიდებულესობა ფრედენ სბორგის კოშკს წაბრძანდა.

ნიუიორკი. პოლიციამ დააპატიმრა ჯონ მილლერი, რომელსაც ცოლი ზღებდა ბრალს. რუზველტს უპირებდა სროლას მუშათა მომავალ დღეობის დროსო. მილლერი შეიპყრეს ერთი საათის წინად, სანამ პრეზიდენტი მიმოვიდოდა მეიდანზე.

ბეირუტი. გასულ კვირას ხელ ჩართული შეტაკება მოუხდათ ქრისტეანთა და მაჰმადიანთ.

პორტ-არტური. გენერალ ადიუტანტის ალექსეევის სახელობაზედ დანიშნეს ორი სტიპენდია—რეალურ სასწავლებელში და დედათა გიმნაზიაში; თავნი თანხა 18,000 მან. ჩინელ მკვიდრთ ხელმწიფის მოადგილეს დიდის ამბით მიართვეს ადრესი და საპატიო დროშა.

ბელგრადი. მრავალი ახალგაზრდა და ოფიცერი დაატუსაღეს ბელგრადსა და ნიშში.

27 აგვისტო.

პეტერბურგი. ოდესის გრადონაჩალნიკი გენერალ-ლეიტენანტი არსენიევი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბაზრობის საბირჟო კომიტეტმა გადასწყვიტა, ვიშუამდგომლოთ, შემცირდეს გატანის ბაჟი რუსეთის მაუდებზედ, რომელიც სპარსეთში მიდის.

ორიოლი. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედ ხელმწიფე მემკვიდრემ დაწვრილებით დაათვალიერა ყველა განყოფილება; მიიღო საუზმე, თავად-აზნაურობის მიერ გამართული სათავად-აზნაურო საკრებულოში და საღამოს 6 საათზედ ინება ორიოლიდან დაბრუნება.

ბელგრადი. დაპატიმრებულ კაპიტან ლაზარევიჩის ჩვენების ძალით,—პენსია დამსახურებულმა გენერალმა მაგდალევიჩმა მისცა შემწეობა ოფიცრებს უკანასკნელ შეთქმულობის მოსახდენადაო,—აგვისტოს 26-ს გენერალი დააპატიმრეს.

ბეირუთი. დიდძალი ბრბო მაჰმადიანმა სრულიად უმიზეზოდ დაეცა ქრისტეანეთა უბან მეზრაას. მოკლულია 10 ქრისტეანი, მათ შორის ერთი ამერიკელია; 10 კაცის მძიმედ დაუჭრიათ. მცხოვრებნი თავზარდაცემულნი არიან.

მოსკოვი. ქალაქის საბჭოს კრებაზე ფეხზედ ადგომით პატივი სცეს როსტკოვსკის ხსოვნას. დაადგინეს, სამძიმარი გამოუცხადონ მის ქვრივს.

ბელგრადი. რადგან ხვალ მემკვიდრე პრინცის დაბადების დღეა, ბანიცის ბანაკში მეფის სახლეულობისა და ბელგრადის მეციხოვნე ოფიცერთა თანადასწრებით ადლუმია დანიშნული. მეფე წაიკითხავს ბრძანებას მემკვიდრის სერბთა მხედრობაში შერიცხვის შესახებ.

სტამბოლი. ბეირუთიდგან კონსულის დეპეშები იუწყება, —აგვისტოს 24-ს მეზრაას უბანში შეტაკება მოხდა ქრისტეანეთა და მაჰმადიანთა შორის; საქმეში ჩაერია პოლიცია და ჯარიც. მოკლულია 30 და დაჭრილი—მრავალი. ვალიმ დაიწყო გამოძიება. სტამბოლში დიპლომატიის რამდენიმე წარმომადგენელმა უკვე გადასცეს პორტას მოხსენებანი. ამბობენ,—ზოგიერთი დიდი სახელმწიფო სამხედრო გემებს ჰგზავნის ბეირუთსაო. საქმეთა არსებული ვითარება და გუშინდელი ამბები ვალის მოქმედებამ გამოიწვია.—საზღვარ გარედ გავრცელებული ხმები რუსეთის, ავსტრიის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტების მოსვლის შესახებ, მოკლებულია სიმართლეს.

რომი. ელჩებმა თვისი აზრი განუცხადეს პორტას ბეირუთში მომხდარ ამბების გამო. გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ ადგილობრივს ვალის ნაბრძანები აქვს ღონისძიება მიიღოს, რათა უწესოება აღარ მოხდეს. ვალის ცნობით, ერთი ქრისტიანია მოკლული და ერთიც დაჭრილი; ერთი ოსმალო ჯარის-კაცი მოკლულია და სამი დაჭრილი.

ვენა. საპარლამენტო კონფერენციამ გადასწყვიტა ყოველ საერთაშორისო ხელშეკრულობაში უთუოდ მოხსენებული იყოს სამედიატორო განსამართლება. მიღებულია რეზოლიუცია რობერტსონისა (ინგლისელისა), რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა კონგრესმა მსჯელობა იქონიოს შესახებ ზღვისა და ხმელეთის ჯარების შემცირებისა.

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ი იუწყება, რომ 1900 წელს სპარსეთის შაჰმა მიუძღვნა ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს 2,892 ჩორსი საჟენი მიწა ურმიაში იქაურ მართლ-მადიდებელ რუსეთის სასულიერო მისიის საჭიროებისათვის. 26 ივნისს ამ მამულში ჩაყრილ იქმნა საძირკველი სახლისა მისიისათვის პარაკლისის გარდახდით. ეს ამბავი ეუწყა სინოდის ობერ-პროკურორს და თან მოხსენდა თხოვნა, რომ მან გრძნობანი მისიისა ხელმწიფე იმპერატრიცას უქვეშევრდომილესად აცნობოს. როცა ესე ყოველივე მოხსენდა მის უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატრიცამ ბრძანა—გადაეცით მისიის უფროსსა და მის წევრთ მადლობა მათ მიერ გამოთქმულ გრძნობათათვისაო.

და. შერჩა მხოლოდ ორი დავარდნილი ძვალ-ტყავად გამხდარი ცხენი, ერთი გაპარტახებული „დროჟკა“ და ძველებური გახუნებული ტანისამოსი. ჩაჯდებოდა ხოლმე თავისს დამტვრეულ დროჟკაში და მიალახლახებდა მოსკოვის ქუჩებში „ვორობიოვის“ მთებისაკენ, სადაც საპატიმროები იყო გაშენებული. ხანდისხან მძიმე კალათებს და სხვა-და-სხვა ბოხჩებს თან მიათრევდა; შიგ იყო სხვა-და-სხვა ტკბილეულობა, ქადა-ნაზუქი, ხილი და სხვა სანოვაგე. მისი მრავალი ნაცნობ-მეგობრები და მდიდარი ნაავადმყოფარნი უგზავნიდნენ სხვა-და-სხვა სანოვაგეს. ის-კი ყოველსავე აგროვებდა და ტუსაღებთან ან „თავისს უბედურებთან“ მიჰქონდა. მრთელი თვისი ხანგრძლივი სიცოცხლე ექიმმა გააზმა ამ უბედურებს შესწირა.

სხვაგანაც სადმე თუ შეხვდებოდა გაჭირვებულს და, თუ რამ ნაირად მისის ხვედრის შემსუბუქება შეეძლო, სწორედ თავს არ დაზოგავდა. ერთხელ სიკვდილის წინ რამდენისამე ხნით, შემთხვევით, ერთ მოსკოვის საავადმყოფოში შეიხედა და ერთი იშვიათი ავადმყოფი, საბრალო თერთმეტის წლის გოგო შეამჩნია. საცოდავს პირის-სახეზე საშინელი უკურნებელი სატკივარი, „წყლის კუ“, (водяной ракъ) გასჩენოდა. სენი ისეთის სისწრაფით მოსდებოდა, რომ ოთხის დღის განმავლობაში პირი-სახე ნახევარზედ მეტი შეეჭამა. უბედური აუტანელ ტკივილებს ჰგრძნობდა და ცოცხლად დამპალ პირიდგან ისეთი მყრალი სუნი ამოსდიოდა, არა თუ ექიმი, ფერშალი და მოსამსახურე ქალი, თვით მწუხარებით გულ-მოკლული ავადმყოფის მშობელი დედაც ორ-სამს წუთს ვერ სძლებდა იმ ოთახში, საცა ავადმყოფი იწვა; ახლო მისვლას, ან მის გვერდით ჯდომას-კი ვინ შეიძლებდა? ექიმმა თევდორე გააზმა შეუძლებელიც შესძლო! ყოველ დღე შედიოდა ამ ავადმყოფთან, გვერდით მოუჯდებოდა, თავზედ ხელს უსვამდა, ჰკოცნიდა და სამი-ოთხი საათი ამ რიგად ანუგეშებდა.

1853 წელს ექიმი გააზი გარდაიცვალა. მან სული დალია სილატაკეში და პოლიციის ხარჯზედ გაასვენეს: აუარებელი სამკვიდრო დარჩა. ეს გახლავთ სამკვიდრო სიკეთისა და ყოველ უბედურთ და გაჭირვებულთადმი ულეველ ქრისტიანულ სიყვარულისა.

„კეთილ საქმეს დაეჩქარეთ“ ო, ანდერძად დასტოვა გააზმა.—იცოდეთ მიტევება, გსურდეთ შერიგება, ბოროტი სიკეთით დასძლიეთო. მცირე წვლილისა ნუ შეგრცხვებათ, თუნდაც ჭიქა წყალი იყოსო. მეგობრული მიგებება, სიტყვიერი ნუგეში, თანაგრძნობა, შებრალება, ესეც ბევრი რამეაო. ეცადეთ, დაცემული აღადგინოთ, გაბოროტებული დააცხროთ, დაამშვიდოთო. არ არის ისეთი ადამიანი, ვის გულშიაც სიყვარული და შებრალება არ სუფევდესო. მე არა თუ არა მსურს, ვერც მომიფიქრებია, რომ ადამიანს ადამიანის ტანჯვა განგებ უნდოდესო. „ალბად, არ იციან რასა იქმანო“. სპეტაკი და გულს მოსახვედრი სიტყვები, ერთს დანაშაულს უმსუბუქებს, მეორეს ნუგეშს სცემსო... ამიტომაც უწინარეს ყოვლისა, შებრალებაა საჭიროვო. მიდრეკილება შებრალებისადმი სათნოება-კი არ არის, უბრალო სამართლიანობააო“.

ექიმის გააზის გულ-წრფელისა და ღრმა სიყვარულით შეზავებული სიტყვები ბედ-კრულთა შორის ძრიელ მოქმედებდა და თითქმის თავზარ დამცემ ავაზაკთაც იმორჩილებდა. ექიმ გააზის საპყრობილეში მისვლა შიგ მცხოვრებთათვის ზეციდგან ანგელოზის ჩამოფრენა იყო. მისი ნათელი სახე ტუსაღთ, არა თუ იქ, მოსკოვში ყოფნის დროს ანუგეშებდა, მისი სახის გახსენება შორეულ ციმბირის მაღნებშიაც მუშაობის დროს გულს უსპეტაკებდა. ქ. ნერჩინსკის კატორგის საპყრობილეში, როცა გააზის სიკვდილის ამბავი მივიდა, კატორგელებმა, გვირაბებში ტანჯვით ნაშოვნი გროშები მოაგროვეს და მათ, „მფარველ ექიმის“ სახსოვრად, წმიდა თეოდორე ტირონის ხატი იყიდეს და დაასვენეს. იმ ხატის წინ იმავ ტანჯვით ნაშოვნი ფულით დღესაც განუქრობელი ლამპარი ანთია.

ამ გვარსავე განუქრობელ ლამპრად ანათოს, ყოველ რუსის,—და ჩვენ მიუმატოთ—ყოველ ადამიანის ხსოვნაში თევდორე გააზის ნათელმა სახელმა, იმ ადამიანის ხსოვნამ, ვინც თავისი ნიჭი, ძალა, ცოდნა და მთლად სიცოცხლეც ბედკრულთ და მოძულებულთ თავს შემოავლო და მოახმარა. ასეთ ადამიანის ხსოვნა, მართლა რომ განუქრობელ ლამპარივით, უნდა იქმნას დაცული. „ეს ხსოვნა-ღა იქმნება ერთად ერთი ჯილდო მისის თავგანწირულის უანგარო შრომისა. ეს სხვა მოღვაწესაც გაამხნევებს და ცხოვრების მწარე წუთის გამოცდის დროს, ვინიცობაა, თვით სიმართლე—სიკეთის ამ ქვეყნად არსებობაზე იჭვი შეეპაროს, გონს მოიყვანს და დამძიმებულს გულს შეუმსუბუქებსო“,—ამბობს ა. ფ. კონი, რომელმაც მშვენიერი წიგნი დასწერა გააზზე. გააზის მზგავსი ადამიანნი გზის მანათობელნი ვარსკვლავნი არიან; მათ კვალ და კვალ სიარული ჩვენც თანდათან დაგვიახლოვებს სინათლისა, სიყვარულისა და სიკეთის სამეფოს.

კოდრა პატრია.

პეტერბურგის ბირჟა აგვისტოს 26

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	37,52½
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,27½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95¼ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ. 1864	443¾ წ.
% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სა-სახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	—
აქციები. „ „ „ »	—
„კასპიის ამხანაგობისა.	--
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	187½ წვ. გაყ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Aunoncen-Bureau des „Merkur“ in Mannheim, Meerfeldstrasse, 44.
(50—5)

წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1903 წ. 1-ლ სექტემბერს.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის ზედამხედველს სვიმონ ხუნდაძეს სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველს განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორ მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახად დანიშნულია შვიდი მანათი თვეში.

ვისაც ჰსურს, მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: წლის შესანახი ფული 84 მანათი პირველს სექტემბერს. ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი, ქვეშსაგები, ექვსი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთ-საცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ წლის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფულიდგან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგ ადრესით: Станція Мцхеть, смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельско-хозяйственной школы. 2—у—1

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°
„Роя-Ралле“

ლაბორატორია
რის გეტმანისა
მისის იმპერატორობითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანის)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ეს საშუალება გაძევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს, იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ აგრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ. 1 მ. 50 კ.

ინდოურის ფხვნილი მწერთა მოსაგერიებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვოდ გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, ძველ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედებში, რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინივით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არ აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქსა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავ მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველგვარი ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კაპ., 65 კაპ. 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთ სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ აფუჭებს საცვლებს, შპალერს და ავეჯს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთ განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფასი 60 კაპ.—1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განჰკურნავს ბებერას, ჭეჭყს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, საათფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყველა საათფთიაქო მაღაზიაში. 0—6.—35)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები
1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.
2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.